ქრისტიანული უნივერსალიზმის იდეა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

თემურ ხუნაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პროგრამა

აკადემიური ხელმძღვანელი: თამარ ლომიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თემურ ხუნაშვილი.

29.03.2023.

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევით ნაშრომში განხილულია ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ის მოტივები, რომლებიც თავსებადია ქრისტიანულ რელიგიასთან და ექვემდებარება ამ კონტექსტის შესაბამისად ტექსტის ინტერპრეტაციას. ნაშრომის მიზანი გახლდათ ვაჟას შემოქმედებაში ქრისტიანული უნივერსალიზმისა და მასთან დაკავშირებული მოტივების მოძიება, რომელთა ინტერპრეტაციაც კლასიკური თეოსოფიური თუ კანონიკური ტექსტების ფონზე მოხდებოდა. კვლევის თეორიულ ჩარჩოდ განსაზღვრულ იქნა პავლე მოციქულის ეპისტოლეები. მთავარი დაშვება, რომელსაც კვლევა ეყრდნობოდა, გახლდათ ის, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედება მრავალგანზომილებიანია, რომელთაგან ერთ-ერთი მათგანი წმინდად ქრისტიანულია. შესაბამისად, თეზისი, რომელიც კვლევის ფარგლებში დასაბუთდა, გახლდათ ის, რომ ვაჟას შემოქმედება შესაძლოა წავიკითხოთ ქრისტიანული კონტექსტის შესაბამისად და დავიჭიროთ მასში ის მოტივები, რომლებიც ამ რელიგიის საფუძველმდებარე პრინციპებს წარმოადგენს.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ვაჟას ზოგიერთი ლექსი და პოემა, ცალსახად ეყრდნობა იმ ნიადაგს, რომელსაც ქრისტიანული რელიგია ქმნის. ეს შეიძლება იყოს მოყვასის სიყვარულის, ღვთიური უნივერსალიზმის, თანაგრძნობის, შებრალების, მიტევებისა თუ სხვ. იდეები, რომლებიც არსებითად მაღალზნეობრივ და წმინდად ჰუმანურ მოტივებს წარმოადგენს. კონკრეტული ტექსტების ანალიზისა და გაშიფვრის ნიადაგზე, კვლევამ აჩვენა, რომ ნაშრომში განსაზღვრული თეზისი რელევანტურია, ხოლო ვაჟას შემოქმედება ობიექტურად იძლევა იმის საფუძველს, რომ ამ ტექსტების მიღმა ქრისტიანული იკონოგრაფია და მისთვის დამახასიათებელი მოტივები ამოვიკითხოთ.

საძიებო/საკვანძო სიტყვები: ქრისტიანობა, რელიგიური უნივერსალიზმი, ჰუმანიზმი, მოყვასის სიყვარული, ქრისტიანული საფუძვლები.